[stamp] ...ბიბლიოთ...

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 80 (18922) პარასკევი, 6 აპრილი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

საქინფორმის ცნობა

შეპირაპირება მოხდა

ორბიტულ კომპლექსში მუშაობს ხუთი საბჭოთა და ინდოელი კოსმონავტი

1984 წლის 4 აპრილს „სოიუზ ტ-11" კოსმოსური ხომალდი შეუპირაპირდა „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" ორბიტულ კომპლექსს.

საპირაპირო კვანძის ჰერმეტულობის შემოწმების სამტატო ოპერაციების მოწყობის შემდეგ „სოიუზ ტ-11" ხომალდის ეკიპაჟის წევრები კოსმონავტები მალიშევი, სტრეკალოვი და შარმა გადავიდნენ „სალუტ-7" სადგურში.

დედამიწის ირგვლივ კოსმოსურ სივრცეში „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში მუშაობს საერთაშორისო ეკიპაჟი ექვსი კაცის შემადგენლობით: საბჭოთა კოსმონავტები ლეონიდ კიზიმი, ვლადიმერ სოლოვიოვი, ოლეგ ატკოვი, იური მალიშევი, გენადი სტრეკალოვი და ინდოეთის რესპუბლიკის კოსმონავტი რაკეშ შარმა.

მეცნიერული კვლევის პროგრამა, რომელიც ერთად შეიმუშავეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეცნიერებმა, შვიდ დღეღამეზეა გაანგარიშებული. დაგეგმილია მოეწყოს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევა და გარემოს შესწავლა, კოსმოსური მასალათმცოდნეობის ექსპერიმენტები და სამედიცინო გამოკვლევები.

კოსმონავტები კიზიმი, სოლოვიოვი, ატკოვი, მალიშევი, სტრეკალოვი და შარმა თავს კარგად გრძნობენ. „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის კოსმონავტთა ერთობლივი მუშაობა ახალ ფურცელს შემატებს კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისების მიზნით ჩვენი მეგობარი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობის მატიანეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის მორიგ სხდომაზე დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი მშრომელთა საერთაშორისო დღის — 1 მაისისათვის.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღებისა და მის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების 1983 წლის შედეგების საკითხი. როგორც ამ საკითხის განხილვისას აღინიშნა, წლიანად ჩვენი პარტიის რიგების ზრდისა და განმტკიცების პროცესი, პარტიისა, რომელიც ამჟამად დაახლოებით 18,5 მილიონ კომუნისტს აერთიანებს, მიმდინარეობს პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დებულებათა შესაბამისად. გრძელდება უპირატესად მუშებითა და კოლმეურნეებით პარტიის შევსების მყარი ტენდენცია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებულთა შორის ბევრია სახალხო მეურნეობის სპეციალისტი, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, ახალგაზრდობა. იზრდება ახალი პარტიული ძალების ნაკადი მატერიალური წარმოების სფეროში.

კომუნისტთა რიცხვი ყველაზე მეტად გაიზარდა მოწინავეობის ისეთი დარგების საწარმოებში, როგორიც არის ნავთობის ქვანახშირის, გაზის, ელექტრონული, მიკრობიოლოგიური, კავშირგაბმულობის საშუალებათა დარგები. სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში იზრდება მეცხოველეთა და მექანიზატორთა რიცხვი. პარტიული კომიტეტები აძლიერებენ ალმხრდელობით მუშაობას ახალ შევსებასთან, მის იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ წრთობას. იზრდება მომთხოვნელობა პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატებისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების და პარტიული ცხოვრების ნორმების დაცვისათვის, კომუნისტთა ურთიერთმომკითხველობა.

ამასთან პარტიაში მიღებისა და კომუნისტების აღზრდისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი მუდმივ ყურადღებას არ იჩენს პარტიის რიგების შევსებისათვის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის წამყვანი დარგების იმ კადრის მუშების ხარჯზე, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი, კომუნისტებით ბრიგადების და მეცხოველეობის ფერმების კოლექტივების განმტკიცებისათვის. ყველგან ჯეროვან დონეზე როდი დგას მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან.

პოლიტბიურომ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებასთან დაკავშირებული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, პარტიის რიგებში შემავლებისადმი მომთხოვნელობის გაზრდისათვის, ახალი პარტიული შევსების უფრო საგულდაგულო ინდივიდუალური შერჩევის უზრუნველყოფისა და კომუნისტების აღზრდისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს წინადადებანი იმ პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც დასახულია საბჭოთა სკოლის რეფორმის განახორციელებლად. მათი მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის, მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესება, პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი განვითარება, ბავშვების საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის დონის ამაღლება, აგრეთვე პედაგოგიური კადრების მომზადების სრულყოფა, მათთვის შრომისა და ყოფა-ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნა, მასწავლებელთა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა ხელფასის მომატება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარესთან მენგისტუ ჰაილე მარიამთან ამხანაგების კ. უ. ჩერნენკოს, ჰ. ა. ალიევის, ა. ა. გრომიკოსა და დ. თ. უსტინოვის შეხვედრებისა და საუბრების შედეგები. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ეთიოპიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ეთიოპიის მშრომელთა პარტიის საორგანიზაციო კომისიის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებას, თანამედროვე საერთაშორისო ვითარების, იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ძალების წინააღმდეგ, სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მათი შეხედულებების ერთიანობას.

პოლიტბიურომ მოისმინა და მოიწონა ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან მ. დუგერსურენთან, აგრეთვე ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრთან მ. კუსუმაატმაჯასთან მოლაპარაკების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

გულითადად მიესალმებიან

„სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟს, კოსმონავტებს

ლეონიდ დენისის ძე კიზიმს, ვლადიმერ ალექსის ძე სოლოვიოვს, ოლეგ იურის ძე ატკოვს, იური ვასილის ძე მალიშევს, გენადი მიხეილის ძე სტრეკალოვს, რაკეშ შარმას

გულითადად მოგესალმებით და გულწრფელად გილოცავთ „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტულ სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში ერთობლივი მუშაობის წარმატებით დაწყებას.

თქვენი ფრენა კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისების საქმეში სსრ კავშირისა და ინდოეთის მრავალი წლის ნაყოფიერი, მზარდი თანამშრომლობის კანონზომიერი შედეგია და ნათლად მოწმობს საბჭოთა და ინდოელ ხალხთა ტრადიციულ მეგობრობას.

გვწამს, რომ გაამართლებთ დიდ ნდობას და პირნათლად გაართმევთ თავს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ერთობლივი კვლევისა და ექსპერიმენტების დაგეგმილ პროგრამას.

გისურვებთ წარმატებით შეგვსრულებინოთ დასახული ამოცანები და მშვიდობით დაბრუნებულიყავით დედამიწაზე.

კ. ჩერნენკო.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის გაერთიანებულ კოსმოსურ ეკიპაჟს

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გულთბილად მივულოცო და მივესალმო ერთობლივი კოსმოსური ფრენის მონაწილე საბჭოთა და ინდოელ მეგობრებს. მადლობელი ვართ ჩვენი ორი ქვეყნის მოქალაქეებისა, რომლებიც დაძაბულად შრომობდნენ მისი განხორციელებისათვის. განსაკუთრებით მახარებს, რომ კოსმოსში პირველად იმყოფება ინდოელი კოსმონავტი. თქვენი ფრენა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სიმბოლო და იმის უთვალსაჩინოესი მაგალითია, თუ როგორ შეუძლია ორ ქვეყანას ერთად კონსტრუქციულად იმუშაოს მეცნიერული პროგრესის საქმეში ორმხრივ სასარგებლო ინტერესებისათვის და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. მინდა გისურვოთ უოველივე საუკეთესო დაკისრებული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების წარმატებით შესრულებაში.

გიანი ზაილ სინგჰი,
ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის გაერთიანებულ კოსმოსურ ეკიპაჟს

ინდოეთის მთავრობა და მთელი ხალხი ჩემთან ერთად გილოცავენ და უოველივე საუკეთესოს გისურვებენ თქვენი ერთობლივი კოსმოსური ფრენის გამო. ინტენსიური მზადებისა და დაძაბული შრომის თვეები წარმატებული გაშვებით დაგვირგვინდა. ჩვენ მადლობელი ვართ მრავალი საბჭოთა და ინდოელი მოქალაქისა, რომლებიც ერთად შრომობდნენ მის განსახორციელებლად. ინდოეთისათვის ეს ჭეშმარიტად ისტორიული მომენტია.

ეს ფრენა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში. ეს არის კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი ორი ხალხის საკეთილდღეო კონსტრუქციული თანამშრომლობისა, რომლის განვითარებასაც ნიადაგს უქმნის ხელს ჩვენი მეგობრობა. თქვენი ერთობლივი ძალისხმევა ხელს შეუწყობს მეცნიერულ პროგრესს.

ამ კოსმოსურ ფრენაში თქვენთან ვიყავით. გისურვებთ მშვიდობიან ფრენას და უოველივე საუკეთესოს დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულებაში.

ინდირა განდი,
ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს,

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ქალბატონ

ინდირა განდის

ჩვენ, „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟის საბჭოთა და ინდოელი წევრები, სიხარულით გაცნობებთ, რომ შევუდექით კოსმოსში ერთობლივი მეცნიერული კვლევის დაგეგმილი პროგრამის შესრულებას. ორბიტული კომპლექსის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად ფუნქციონირებს, თავს კარგად ვგრძნობთ. ეს მომენტი შეუპოვარი შრომის დაგვირგვინება, დიდი იმედებისა და მისწრაფებების ხორცშესხმაა.

ვამაყობთ, რომ წილად გვხვდა პატივი გავმხდარიყავით მონაწილენი ამ ისტორიული მოვლენისა, რომელიც სსრ კავშირისა და ინდოეთის მრავალმხრივი განვითარების კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯს მოასწავებს და აერთიანებს ჩვენი ქვეყნების ძალისხმევას მეცნიერების ახალი მიჯნების მიღწევაში. ჩვენ კარგად გვესმის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ალგითქვამთ, რომ მთელ ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ ფრენის წარმატებით შესრულებას. დაე, ყვაოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა.

„სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟი

ლ. კიზიმი, ვ. სოლოვიოვი, ო. ატკოვი, ი. მალიშევი, გ. სტრეკალოვი, რ. შარმა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს

„სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟი გულითად მადლობას გიძღვნით გულთბილი მოსალმებისა და კეთილი სურვილებისათვის.

ალგითქვამთ, რომ ღირსეულად გავამართლებთ გაწეულ ნდობას და მთელ ჩვენს ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ ერთობლივი ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულებას.

„სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟი

ლ. კიზიმი, ვ. სოლოვიოვი, ო. ატკოვი, ი. მალიშევი, გ. სტრეკალოვი, რ. შარმა

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ

გიანი ზაილ სინგჰს

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ გულთბილი მოსალმებისა და კეთილი სურვილებისათვის.

ალგითქვამთ, რომ ჩვენ „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკიპაჟის წევრები, ყველაფერს ვიღონებთ, რათა წარმატებით შევასრულოთ მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისათვის ერთობლივი ფრენის პროგრამა.

„სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟი

ლ. კიზიმი, ვ. სოლოვიოვი, ო. ატკოვი, ი. მალიშევი, გ. სტრეკალოვი, რ. შარმა

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრს ქალბატონ

ინდირა განდის

მადლობას გიძღვნით გულითადი მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტულ სამეცნიერო-საკვლევ კომპლექსში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის საერთაშორისო ეკიპაჟის ერთობლივი მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით.

ალგითქვამთ, რომ გავამართლებთ ნდობას, ყველაფერს ვიღონებთ ერთობლივი ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

„სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟი

ლ. კიზიმი, ვ. სოლოვიოვი, ო. ატკოვი, ი. მალიშევი, გ. სტრეკალოვი, რ. შარმა

საერთაშორისო ეკიპაჟის დღე

ფრენის მართვის ცენტრი, 5 აპრილი. (საქინფორმი). „სალუტ-7" „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" ორბიტულ პილოტირებულ კომპლექსში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკიპაჟის სამუშაო დღე დაიწყო დილის 10 საათზე და დამთავრდება 24 საათზე მოსკოვის დროით.

საერთაშორისო ეკიპაჟის ერთობლივი მუშაობის დღევანდელ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამედიცინო გამოკვლევებსა და ექსპერიმენტებს, რომლებსაც ახორციელებენ წვევის ექსპედიციის კოსმონავტები იური მალიშევი, გენადი სტრეკალოვი და რაკეშ შარმა. ძირითადი ექსპედიციის ეკიპაჟი — ლეონიდ კიზიმი, ვლადიმერ სოლოვიოვი და ოლეგ ატკოვი ეხმარებიან მათ და აკონტროლებენ სამეცნიერო აპარატურის მუშაობას.

დღის პირველ ნახევარში შესრულდა ექსპერიმენტი „ოპტოკინეზი".

ნაშუადღევისათვის დაგეგმილი ექსპერიმენტების „პროფილაქტიკის", „იოგის", „მემბრანის" მიზანია მიიღონ მონაცემები ფრენის საწყის ეტაპზე ადამიანის ორგანიზმზე პროფილაქტიკურ საშუალებათა გავლენის ეფექტიანობისა და უწონობის პირობებში მინერალური ცვლის თავისებურებათა შესახებ.

ფრენის დასახული პროგრამის შესაბამისად იური მალიშევი, გენადი სტრეკალოვი და რაკეშ შარმა დედამიწაზე დაბრუნდებიან „სოიუზ ტ-10" ხომალდით. ამისათვის კოსმონავტები დაშლიან სავარძლების ინდივიდუალურ ლოჟემენტებს „სოიუზ ტ-11" ხომალდში და დადგამენ მათ „სოიუზ ტ-10" ხომალდის დასაშვებ აპარატში.

ეკიპაჟის მოხსენებებითა და ტელემეტრიული გაზომვების მონაცემებით დასტურდება, რომ „სალუტ-7" — „სოიუზ ტ-10" — „სოიუზ ტ-11" სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ფრენა მიმდინარეობს დაგეგმილი პროგრამის სრული შესაბამისობით.

ლეონიდ კიზიმი, ვლადიმერ სოლოვიოვი, ოლეგ ატკოვი, იური მალიშევი, გენადი სტრეკალოვი და რაკეშ შარმა თავს კარგად გრძნობენ.

მოწინავეთა მხარდამხარ

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ქაკარიძის სახ. ქსოვის ფაბრიკაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ფაბრიკის მშრომელებმა, რომლებმაც წლის პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 0,5 პროცენტით გაზარდეს, გეგმის გადამეტებით 35 ათას 900 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვეს, რაც ფულადი გამოხატულებით 102 ათას მანეთს შეადგენს.

სურათებზე: (მარცხნიდან): № 1 საქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწეებმა თამაზ ფუხოიანმა და ვახილ ჭულუყიძემ დიდი წვლილი შეიტანეს სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში;

სამი წელი თითქოს ბევრი არ არის, მაგრამ როცა ხალისიანად შრომობ და მხარში გულისხმიერი დამრიგებლები გიდგანან, არაფერი არ გაგიჭირდება. მქსოველმა მერი ბალიაშვილმა მოკლე ვადაში სრულყოფილად აითვისა მქსოველის პროფესია.

თავისი შრომითი ცხოვრების 22 წელი მიახმარა მქსოველის პროფესიას კომუნისტმა ელენე გვაზავამ. მოწინავე მუშაკი მთელ თავის დიდ გამოცდილებასა და ცოდნას გადასცემს ახალგაზრდობას (სურათზე მარცხნივ). აი, ახლაც სწორედ იმ დროს მივედით, როცა მუშაობდა კომკავშირელ ნუნუ შენგელიასთან, რომელმაც თავისი დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრება წელს დაიწყო.

შ. კრიმსაიძა და ჯ. ლომაძის ფოტო და ტექსტი.

მისალოცი დეპეშა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარეს, ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარეს მენგისტუ ჰაილე მარიამს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცეს ეთიოპიის მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის ცენტრალურ კომიტეტს, დროებით სამხედრო ადმინისტრაციულ საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და სოციალისტური ეთიოპიის მეგობარ ხალხს ღირსშესანიშნავი დღესასწაული — გამარჯვების დღე. (საქინფორმი).

მიეცი ნიჭსა გზა ფართო...

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ესაუბრა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის წევრებს

ცხოვრებით ხელოვნების გამოდიდრებისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაზე, მხატვრული შემოქმედების გავლენის პროცესზე იყო მსჯელობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძისა და სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის წევრების საუბრის დროს. საბჭოთა სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატები თბილისში იმყოფებიან იმასთან დაკავშირებით, რომ აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმისა და მისი სამხატვრო განათლების სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც ეძღვნება ქვეყნის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრების XXI საკავშირო გამოფენის განხილვას. ამიტომ ბუნებრივია, რომ საუბრის დროს განიხილეს შემოქმედებითი ცვლის ჩამოყალიბების, მისი პროფესიული მომზადებისა და იდეურ-სულიერი აღზრდის საკითხები.

შეეხო რა იმას, თუ როგორ არის ქვეყანაში ორგანიზებული სამხატვრო განათლება, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ბ. ს. უგაროვმა ხაზი გაუსვა შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების პასუხისმგებლობას ხელოვნის ჩამოყალიბებისათვის, რომლის ნიჭი და ოსტატობა კომუნისტურ აღმშენებლობას უნდა ემსახუროს. თვით სკოლის ცნება გულისხმობს იმას, რომ იგი ვალდებულია არა მარტო მისცეს, არამედ ართმენდეს ... ხელოვნების საკითხებში შემოქმედებითი ახალგაზრდობის ფართო ინფორმირება, ძირითადი პროფესიული მომზადება და განათლება განმტკიცებული და შეკავშირებული უნდა იყოს ხელოვნის დიდი მოქალაქეობრივი მისიის, მის წინაშე მდგომი სოციალური ამოცანების ცხადი ხედვით. ძალზე საჭიროა ამასთან ვასწავლოთ ახალგაზრდობას აიმაგოდ დაუბრუნოს საზოგადოებას ის, რაც საზოგადოება მის მოსამზადებლად გაწეული შრომა.

მრავალმხრივ დახმარებას უწევენ რა შემოქმედებითს ცვლას, თქვა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა, ოსტატები ცდილობენ ჩაუნერგონ მას იმის შეგნება, რომ ხელოვნებაში მნიშვნელობა არა აქვს ასაკს: მხოლოდ ნიჭით, ხალხისა და ქვეყნის ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული შემოქმედებითი შემართებით განისაზღვრება მხატვრის ახალგაზრდობა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში კულტურული მშენებლობა, თანამედროვე ხელოვნების განვითარება, მისი ოსტატების მრავალმხრივი ძიებანი და მონაპოვრები, აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, განუყოფელია სოციალური და ეკონომიკური პროგრესისათვის რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ბრძოლისაგან. სახალხო მეურნეობის სტაბილური დინამიკური განვითარება საქართველოში ხელს შეუწყობს წინამძღვრებს უქმნის პროგრესს მხატვრული შემოქმედების სფეროში. განვითარების გეგმების საუკეთესო იდეოლოგიური უზრუნველყოფა შეიძლება გარანტირებული იყოს პიროვნების მთელი შემოქმედებითი საწყისების ამოქმედებით, რასაც აქტიურად ემსახურება ლიტერატურა და ხელოვნება. სწორედ ამიტომ ეთმობა მათ რესპუბლიკაში ესოდენ დიდი ყურადღება, სწორედ ამიტომ ჩააყენა საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ ყველა თაობის ხელოვნების ოსტატები თავის თანამებრძოლთა პირველ რიგებში. რესპუბლიკაში შემუშავებულია და ეფექტიანად მოქმედებს ახალგაზრდა ტალანტებისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ყველა სახეობის შემოქმედების სპეციფიკასა და პრობლემებს.

შეეხო რა რესპუბლიკაში თანამედროვე მხატვრული პროცესის საერთო ტენდენციებს, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკაში მომხდარმა დადებითმა ძვრებმა გამოიწვია ესთეტიკური აზრის რეგიონალური ცენტრების შექმნა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააფართოვეს მშრომელთა სულიერი და კულტურული ჰორიზონტები.

თბილისში საბჭოთა სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა ჩამოსვლა, ჩვენს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის გასვლითი სხდომის მოწყობა დიდი მოვლენაა, რომელიც უეჭველად ახალ სტიმულს მისცემს შემოქმედებითი პროცესს, ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის სამხატვრო განათლების გაუმჯობესებას.

სტუმრებმა გამოთქვეს თბილისში ყოფნით მიღებული შთაბეჭდილებანი, ალტაცება გამოხატეს ბავშვებისა და ყმაწვილების ესთეტიკური აღზრდის საქმეში აქ შეძენილი გამოცდილებით, მადლობა გადაუხადეს რესპუბლიკის ხელმძღვანელებს გულითადი მასპინძლობისა და შეხვედრის სანიმუშო ორგანიზაციისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ა. როდიონოვი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და მხატვართა კავშირის ხელმძღვანელები. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ლ. ი. მგალობლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ამხ. ლევან იოსების ძე მგალობლიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 აპრილი.

თუ საქმეს გულთან მიიტან...

„კომუნისტის" საგუშაგო

პარტიის გორის რაიკომმა მერეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე რეკომენდაცია გაუწია ახალგაზრდა სპეციალისტს, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორს რ. ხიდაშელიძეს.

ეს მოხდა მალე მას შემდეგ, რაც „კომუნისტის" ფურცლებზე დაიბეჭდა კრიტიკული წერილი მერეთის კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის მოშლის, კერძოდ, მეცხოველეობაში შეუწყნარებელი დარღვევების შესახებ.

რა მდგომარეობაა დღეს მერეთის კოლმეურნეობაში, როგორ გარდაქმნიან აქაური მშრომელები მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მოთხოვნათა სხუქრელზე?

ზამთარი მერეთელებისათვის მართლაც მკაცრი გამოცდელი გამოდგა. მინერალიზებული ფერმები, უმოქმედო საკვები სიმზარეული, თუმცა კაცმა რომ თქვას გამართულიც რომ ყოფილიყო, არაფერი ჰქონდათ შესანახადებელი — არც საკვები ჭარბად, არც სხვა საკვები კომპონენტები.

საბუღალტრო დოკუმენტებში დაცული ცნობების მიხედვით შარშან მერეთელებს საშუალოდ ერთ სულ პირუტყვზე 38 საკვები ერთეული დაუმზადებიათ საგეგმო 37-ის ნაცვლად. სინამდვილეში ასე რომ ყოფილიყო, დღესაც თავსაყრელი უნდა ჰქონდეთ თივაც, სენაჟიც, საკვებიც. სამწუხაროდ, შუა ზამთარი გასული არც იყო, რომ მერეთელებმა სხვა მეურნეობებიდან დაიწყეს საკვების შემოზიდვა.

საკვები საკვებად, მაგრამ მეცხოველეობის ფერმებში სხვა პრობლემებიც იყო მოსაგვარებელი, რომლებიც აფერხებდა საერთო საქმეს. ბოლო ხანს ფერმებში ფაქტობრივად მოიშალა შრომის ორგანიზაცია, გაიზარდა საკვების დანაკარგები...

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, მუშაობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე.

კოლმეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ ჯერ შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას მოჰკიდა ხელი, სამუშაოზე მეწველავების დროულად გამოცხადებას, საკვების დამზადებასა და დარიგებას მკაცრი კონტროლი დაუწესდა. სასიკეთო შედეგებმაც არ დააყოვნა. 4 თებერვალს კოლმეურნეობამ 233 კილოგრამი რძე მიიღეს, 11 მარტს კი წველადობამ 606 კილოგრამს მიაღწია. ეს 100 კილოგრამით სჭარბობს შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს.

ხორცის დამზადების პირველი კვარტლის გეგმა 12 ტონაა. მერეთელებმა გადამეტებით შეასრულეს ეს დავალება.

წინა წლების შეცდომები რომ არ განმეორდეს, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა აქცენტს ზრუნავს მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. აგროვადებში დათესა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები, ამჟამად მიმდინარეობს მინერალური სასუქებით ნათესების განოყიერება. კოლმეურნეობაში უკეთესი მდგომარეობაა ბაღ-ვენახებში მუშაობის გამოსვლის მხრივ. წინა წლებთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მონაწილეთა რიცხვი 100 კაცით გაიზარდა, რამაც შესაძლებელი გახადა დროულად შესრულებულიყო საგაზაფხულო სამუშაოები.

გორის რაიონული და საქალაქო გაზეთი „გამარჯვება" — გაზეთ „კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი.

ჩვენი კონსულტაცია

როგორი უნდა იყოს სანარდო ბრიგადა სოფლად

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმა წარმოების მართვის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. იგი საწარმოო-ტექნოლოგიური პრინციპის მიხედვით ადრეც გამოიყენებოდა.

...

თ. ქავთარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ავტომატიკა მეთევზეთა სამსახურში

აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის თევზის ჭერის პირველი კვარტალის დავალება. ხაგაზაფხულო თევზჭერის დროს განსაკუთრებით იხაჭელა თავი „ბათუმის" სეინერის ეკიპაჟმა, რომელსაც ხელმძღვანელობს კაპიტან-ბრიგადირი გ. უჩლება, კაპიტნები ვ. მადოიანი და ზ. კომახიძე.

უხვი ნადავლი იგზავნება გადამუშავების საამქროებში, სადაც მექანიზებულია ბევრი შრომატევადი პროცესი. მაგალითად, საკონსერვო საამქროში საექსპლოატაციოდ გადაეცა თევზის შესახვევი თუნუქის ქილების გამომშვები ნაკადური ხაზები და სხვა. ეს შესაძლებელს გახდის წელს ორჯერ გაადიდონ პროდუქციის გამოშვება. მალე საამქროების კონვეიერებიდან ჩამოვა ახალი პროდუქცია — შებოლილი მოივა ზეთში.

აჭარელი მეხადურები ენერგიულად ემზადებიან ლენინური კომუნისტური შაბათობისათვის. მოწინავე სეინერების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს დამკვრელური შრომის დღეს შეასრულონ თევზჭერის თვიური დავალება.

სურათზე: მოწინავე დამუშასოებელი ნინო კომახიძე.
ნ. ანანტანიძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტი"
ემიჯნება
რეპორტაჟებს

ნაკადური ბინათმშენებლობა

ყურადღება: რუსთაველი სისტემა

„ნაკადური ჩქაროსნული ბინათმშენებლობა" — „მსს-84" (მშენებლობის ჩქაროსნული სისტემა). ასე ეწოდება რუსთაველი ინჟინერ-მშენებლის იზოლდა შუბლაძის ნაშრომს.

რატომ — 84? იმიტომ, რომ ავტორს, რომელმაც სისტემის ჩამოყალიბებასა და სრულყოფას წლები მოახმარა, სწამს, რომ სწორედ მიმდინარე წელს შეიქმნა საჭირო პირობები მისი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის. ჩვენი რესპუბლიკა გახდა სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაშლილი საყოველთაო მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი და ამიტომ ახლა, როგორც არასდროს, მთელი სიმწვავით დგება სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის რეზერვების ძიებისა და მათი ამოქმედების აუცილებლობის საკითხი.

ინჟინერ ი. შუბლაძის მიერ დამუშავებული მშენებლობის ჩქაროსნული სისტემა იმსახურებს მშენებელ-სპეციალისტთა ყურადღებას ჩანაფიქრის მასშტაბურობით, გადაწყვეტის ორიგინალობითა და სისადავით.

რას წარმოადგენს ეს სისტემა? ეს არის ინჟინრის მიერ წლების განმავლობაში დაგროვებული პრაქტიკული გამოცდილებისა და დაკვირვების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული მშენებლობის ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფის იდეა, რომელიც განპირობებულია ქარხანა-მომწოდებლის, სამშენებლო ტრანსპორტის, ამწე მექანიზმებისა და სამშენებლო მოედნის ერთობლივი...

...

ა. კორძაია,
„კომუნისტის" შტატგარეშე კორესპონდენტი

პრესის მიმოხილვა

როცა კრიტიკას მხარს უჭერენ

გაზეთ „ქუთაისის" 16 მარტის ნომერში რუბრიკით „პრობლემა ფართო პლანით" გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „უპატრონოდ მიტოვებული რკინიგზის ჩიხები", რომელშიც გაზეთის სარეიდო ბრიგადა პრინციპულად ამხელდა იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება სარკინიგზო მეურნეობაში. ეს მაშინ, როცა რკინიგზის ტრანსპორტი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიაა. ტვირთის მიღებისა და გადაზიდვის დავალებათა დროული და შეუფერხებელი შესრულება, ბუნებრივია, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. რკინიგზის ჩიხებს ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მთავარი როლი აკისრიათ. ამიტომ არის, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაბრიკა-ქარხნების, სამშენებლო ობიექტებისა და სხვა ორგანიზაციების რკინიგზის ჩიხების მეურნეობის მოწესრიგებას, მათი მუშაობის ნორმალიზაციას.

ამ დროს, როგორც რეიდმა გამოავლინა, ქუთაისის მეორე საფეხურთან არსებული 50-მდე სარკინიგზო ჩიხიდან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უმრავლესობა გაუმართავია, ბევრი კი, შეიძლება ითქვას, სავალალო, პირდაპირ კატასტროფულ მდგომარეობაშია. უფრო მეტიც, ახლახან მშენებლობადამთავრებული „ნავთობბაზის" რკინიგზის ჩიხიც სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს — ხაზზე გაკეთდა ტრანსპორტის არასტანდარტული გადასასვლელი, რამაც შეიძლება ვაგონების ჩავარდნა და სერიოზული ავარიებიც კი გამოიწვიოს.

უარეს მაგალითებს კი თვლა არა აქვს: ქალაქის ისეთ დიდ სამრეწველო საწარმოებს, როგორიც არის საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნები, მოუწესრიგებელი აქვთ რკინიგზის ჩიხები, ასეთივე მდგომარეობაა № 2 რკინაბეტონის ქარხნის, ლითონის, „საქბაკალეის", ხე-ტყის ბაზების, თერმოიზოლაციისა და რკინაბეტონის პოლიგონების, ლითონკონსტრუქციების სამმართველოს და საწარმოების მეურნეობებშიც.

ერთი სიტყვით, გაზეთ „ქუთაისის" სარეიდო ბრიგადამ პრინციპულად და მიუკერძოებლად აჩვენა რკინიგზის ჩიხების სავალალო მდგომარეობა.

გაზეთის ამ პუბლიკაციას აქტიურად გამოეხმაურა პარტიის საქალაქო კომიტეტი. წერილის გამოქვეყნების მეორე დღეს პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე მკაცრად იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე. დაისახა ოპერატიული ღონისძიებანი მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, სარკინიგზო მეურნეობის სრულ წესრიგში მოყვანისათვის.

იმ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომელთა კოლექტივები მხილებული იყვნენ სარკინიგზო ჩიხების უყურადღებოდ მიტოვების გამო, მიეცათ კონკრეტული დავალებანი, ამასთან დაუწესდათ გარკვეული ვადა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

კრიტიკა მიზანში მოხვდა, პარტიის საქალაქო კომიტეტმა კი გაზეთს მხარი დაუჭირა.

დ. გიდენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სულის სალხენად, დასაამებლად

ბედნიერების დღე

ამაღლებულია ის დღე, როცა ახალგაზრდა წყვილი თავის ბედს ერთმანეთს უკავშირებს. ასეთი რამ მეტწილად ერთხელ ხდება ცხოვრებაში და ამ დღის განუმეორებელ გრძნობებს, განცდებს შესატყვისი წესი და ჩვეულება, თავისებური, დასამახსოვრებელი რიტუალი ესაჭიროება. ეს იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, ქართველი ხალხისა და სხვა ხალხების სიბრძნემ შექმნა და საუკუნეების განმავლობაში ამშვენებდა მის ცხოვრებას ლამაზი, შინაარსით გამართლებული საქორწინო რიტუალი.

იმისათვის, რომ ქორწინება და ოჯახი — ადამიანთა ურთიერთობის ეს უმნიშვნელოვანესი სფერო თავიანთ განმტკიცებაში მოექციათ, სხვადასხვა რელიგიებმა სხვადასხვაგვარად განსაზღვრეს მისი ჩატარება, ქრისტიანო...

მიზანი იყო და არის ადამიანის დარწმუნება: ახალგაზრდა წყვილთა ბედნიერება მთლიანად დამოკიდებულია ღვთის ნებასურვილსა და მოწყალებაზე.

ახალი საქორწინო რიტუალი ემყარება ხალხურ ლამაზ ტრადიციებს, ჩვენთან და კავშირში შეძენილ გამოცდილებას, ითვალისწინებს დღევანდელობის შესატყვის აუცილებელ მომენტებს.

განცხადების წინასწარ შეტანის ვადად წესისამებრ ერთი თვეა. ქორწინებამდე გასული დრო დასაქორწინებელ წყვილს საშუალებას აძლევს ახლა უკვე ახალ საფუძველზე გაუზიარონ ერთმანეთს მომავალი ოჯახური ურთიერთობის შესახებ აზრები, შეხედულებები, სურვილები. ამ ხნის განმავლობაში თბილისის, სადღესასწაულო ცენტრი სთავაზობს მათ დახმარებას ჯერაც უცნობი გზის ამოცნობაში, ცენტრში ეწყობა საუბრები, შეხვედრები ფსიქოლოგებთან, ექიმებთან, იურისტებთან ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის საკითხებზე...

დაჭდობილი რგოლი და ერთმანეთის შემყურე დედალ-მამალი ხოხბის გამოსახულება.

ქორწინების სახლში მომსვლელ ხელისმომწერთა ერთი ნაწილი აქვე ჩატარებული რიტუალით კმაყოფილდება, მეორენი ბედნიერების ხეივანშიც აგრძელებენ გზას და რგავენ ამ დღის სამახსოვრო ნერგს. მესამეთა სურვილია გაიარონ ახალი რიტუალი მთლიანად.

ჩვენც მივყვეთ ქორწინების რიტუალის სრულად შესრულებას. სხვათა შორის, ერთმა დამსწრემ (სამწუხაროდ, უცნობი ახალგაზრდა კაცი იდგა ჩვენს გვერდით და უჩურჩულად მივიხნეე მეკითხა ვინაობა), რომელსაც ეტყობა მხეობაც ენახა რიუზე და აქაც მოსულიყო, ხმამაღლა თქვა:

— მხეთა მხეობაა ეს რიტუალი, აბა, რა არის: იმ მხეთა, დაუჭკნებელ და დაქალებულ მხეთა მხეობის დღეა...

არ ვიცი, დამკვიდრდება თუ არა ახალგაზრდა წყვილთა ბედნიერების...

ნიერების, სიამოვნების განუმეორებელ შეგრძნებას, ამაღლებულ განწყობილების ქმნის.

ამის შესახებ ბევრი დაწერილა, როგორც ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მზია ბეჭაია აღნიშნავს, ძველი ქართული და სხვა ერების წეს-ჩვეულებების შემადგენელი ნაწილი მუდამ იყო საზეიმო, სალხინო, მისალოცი, დასალოცი, დიდებული სიმღერები. ყველაფრის გამოყენება არავის უცდია და არც ჩვენთვის გამოდგება, თუნდაც იმიტომ, რომ ახლანდელი საქორწინო წესჩვეულების ხასიათისათვის უცხოა ზოგიერთი ძველი სიმღერა (მაგ. ქალის ხვედრზე, მშობლიურ სახლთან განშორების სიმძიმეზე და სხვ.)...

იწყება დღესასწაული! ფართოდ იღება ქორწინების სახლის კარი. ზარების მხიარული რეკვა ამცნობს დამხდურთ და მომსვლელთ ბედნიერების დღის დაწყებას, ორი, ერთნაირ, ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი ტანწერწეტა ქალიშვილი მიუძღვება...

...

ხეივნისაკენ, სადაც სიძე-პატარძალმა უნდა ჩარგოს ბედნიერების ხის ნერგი — ნაყოფიერების, ოჯახის სიმაგრის, სიმტკიცის სიმბოლოდ და მისანიშნებლად (არჩევანი კაკლის ხეზე შეჩერდა), ხის დარგვის რიტუალს ახლავს...

...

დახასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 79.

თამამი ძიება

ქვეყნის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ბევრი ნამუშევარი, რომლებიც წარმოდგენილია თბილისის საგამოფენო დარბაზებში, ადასტურებს ახალგაზრდა ავტორთა ნიჭს, იდეურ და პროფესიულ მომწიფებულობას, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით არის გამსჭვალული. ასეთი დასკვნა გამოიტანეს სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმისა და აკადემიის სამხატვრო განათლების სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა, რომლებმაც 3 აპრილს განიხილეს ქვეყნის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების XXI საკავშირო გამოფენის ექსპონატები.

პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ვ. კემენოვი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის წევრები ა. კიბალნიკოვი, დ. ნალბანდიანი, მ. პოსოხინი, ტ. როიდესტვენსკი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტები პ. ფომინი, ვ. ზამკოვი, პ. ბელოუსოვი, მ. ბოგდანოვი, ბ. ფედოროვი, ი. რეპინის სახელობის ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტექტურის ინსტიტუტის პროფესორი მ. დევიატოვი, რომლებმაც დიდი შეფასება მისცეს ქვეყნის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების 1981-1983 წლების კურსდამთავრებულთა მომზადების დონეს. მათ აღნიშნეს, რომ საინტერესოა წარმოდგენილი ნაწარმოებების თემატიკა. ფერწერული და სკულპტურული კომპოზიციების უმეტესობა ასახავს საბჭოთა ხალხის სახელოვან ისტორიულ წარსულს — სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების, პირველი ხუთწლედების, ყამირის ათვისების ჰეროიკას. ფართოდ არის წარმოდგენილი ნამუშევრები, რომლებიც წარმოსახავენ საბჭოთა ადამიანების ღვაწლიან წარმატებებს, გვაცნობენ მშრომელი ადამიანის შინაგან სამყაროს.

სხვადასხვა ჟანრის ბევრი ნაწარმოები შექმნილია ომისსაწინააღმდეგო თემატიკაზე, ისინი მოგვიწოდებენ მშვიდობისათვის, იმპერიალისტთა მილიტარისტული ხრიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენი ქვეყნის ფუნჯისა და საჭრეთლის წამყვანმა ოსტატებმა მოიწონეს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრები. განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს თბილისის აკადემიის კურსდამთავრებულთა მიერ შესრულებულ არქიტექტურულ პროექტებს, რომლებიც გამოირჩევა შემოქმედებითი ძიების სითამამით.

საღამოს თბილისის სტუმრები — საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატები იყვნენ კინოს სახლში, სადაც ნახეს ე. შენგელაიას ახალი ფილმი „ცისფერი მთები" და მარიონეტების სახელმწიფო თეატრში — სპექტაკლი „ალფრედი და ვიოლეტა". (საქინფორმი).

მოვლენის ფონი

ვიცხოვროთ, ვისწავლოთ და ვიმუშაოთ ლენინურად

ასეთია „სტუდენტური დღეები-84"-ის დევიზი, რომელიც გაიხსნება 9 აპრილს და თვის ბოლომდე გასტანს. მიმდინარე წელს საბჭოთა საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის საგაზაფხულო დღესასწაული ეძღვნება კომკავშირისათვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელის მინიჭების 60 წლისთავს.

საქინფორმის კორესპონდენტი „დღეების" მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილეს გ. მაჭავარიანს ესაუბრა მომავალი მოვლენის შესახებ.

— „სტუდენტური დღეები", რომელსაც დასაბამი მიეცა თბილისის უნივერსიტეტში, რესპუბლიკის ახალგაზრდობის კარგ ტრადიციად იქცა, თქვა მან. — წლეულს ამ დღეებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ტექნიკუმების მოსწავლეებიც, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთ დღესასწაულს „ახალგაზრდული გაზაფხული" უწოდონ.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო „დღეების" მნიშვნელობა. იგი ხელს უწყობს მომავალი სპეციალისტებისათვის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი თვისებების ჩამოყალიბებას, იძლევა იმის ახალ შესაძლებლობას, რომ გამოვლინდეს სტუდენტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა ნიჭი და უნარი, შემოქმედებითი და მეცნიერული ინტერესები, ორგანიზატორული ჩვევები.

ტრადიციისამებრ გაიმართება ლენინური ჩათვლები, ატესტაცია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრაქტიკაში.

სტუდენტი ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში. სხვათა შორის, სტუდენტთა და მოსწავლეთა შრომითი საქმიანობა საგანგებოდ აღინიშნება „სტუდენტური დღეები-84"-ის შედეგების შეჯამებისას.

რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ ლენინური კომკავშირის სახელობის სტუდენტური ხეივნის გაშენებაში თბილისის უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე. აქ ათას კაკლის ხეს დარგავენ.

ქართველ ახალგაზრდებთან სტუმრად ჩამოვლენ ქვეყნის დაძმობილებული უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებების წევრები რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო კონფერენციებს მოახსენებენ თავიანთი კვლევის შედეგებს. სტუდენტი ახალგაზრდობის შეკრებებზე ქალიშვილები და ვაჟები განიხილავენ იმ ამოცანებს, რომლებიც სტუდენტობას დაუსახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის და შემდგომმა პლენუმებმა. (საქინფორმი).

შრომას ჯილდო აგვირგვინებს

სოხუმის ბევრი შრომითი კოლექტივი იქცა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების სკოლად. ამის დამადასტურებელია ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის დაჯილდოება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ჯილდოს გადაცემა გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის საქალაქო კრებაზე. სოხუმიდან ერთად ამ სიხარულის გასაზიარებლად ჩამოვიდნენ მათთან შეჯიბრებაში ჩაბმული ქალაქების — კიროვაკანის, ბათუმის, ტყვარჩელის მშრომელთა დელეგაციები.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატს, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ. ვ. ადლეიბას. მან მხურვალედ მიულოცა ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებს 1983 წლის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და გადასცა გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, საოლქო პროფსაბჭოს და აფხაზეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც სოხუმი დაჯილდოვდა 1983 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებს შორის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

დიდია სოხუმის მუშათა კლასისა და ინტელიგენციის წვლილი აფხაზეთის მშრომელთა საერთო წარმატებებში, მრეწველობის მიერ გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის ხვედრითი წილი ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში თითქმის 35 პროცენტს შეადგენს, ხოლო 102 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდებიდან 24,4 მილიონს სოხუმელი მშენებლები აითვისებენ.

რესპუბლიკა, მთელი ქვეყანა ამაყობენ შავი ზღვისპირეთის მეგობრობის ქალაქის არქიტექტურული იერსახით. აქ ბევრი ახალმშენებლობაა. აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსი, სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის შენობა, ი. გ. პაპასკირის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი წეს-ჩვეულებათა დარბაზითურთ, ღია საკოლმეურნეო ბაზარი. შენდება პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახლები, აგრეთვე პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლები, იწყება საზღვაო ვაგზლის უნიკალური შენობის აგება.

კრებაზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი ქალაქის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ამისათვის საჭიროა მტკიცედ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფო, საწარმოო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა. სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებმა, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, მეცნიერების, კულტურის მუშაკებმა პირობა დადეს, რომ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას არ დაიშურებენ ახალი წარმატებების მიღწევისათვის ბრძოლაში.

აქტივის კრებამ დაამტკიცა სოხუმის მშრომელთა 1984 წლის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. (საქინფორმი).

ჯილდო — ქალაქ ორჯონიკიძეს

ამ დღეებში ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის, რევოლუციურ მოძრაობაში, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დამსახურებისათვის და დაფუძნების 200 წლისთავთან დაკავშირებით შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა.

5 აპრილი

ქვეყნებში

ფაქტები მოვლენები

საქდესი იუწყება

„ვარსკვლავებისაკენ"

დელი. ინდოეთში უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გამოიწვია ცნობამ კოსმოსში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკიპაჟის შემადგენლობაში პირველი ინდოელი კოსმონავტის გაფრენის შესახებ. 4 აპრილს ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე დაბეჭდა მასალები ფრენის პროგრამის შესრულების წარმატებით დაწყების შესახებ, გამოაქვეყნეს რეპორტაჟები ბაიკონურიდან, ეკიპაჟის წევრთა სურათები და ფოტოსურათები, რომლებზეც აღბეჭდილია „სოიუზ ტ-11" კოსმოსური ხომალდის სტარტი.

„ტაიმს ოფ ინდია" აღნიშნავს „ორბიტაზე ხომალდის ზუსტად გაყვანას" და „ყველა საბორტო სისტემის ნორმალურ მუშაობას". „ჰინდუსტან ტაიმსი" იუწყება, რომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ ბაიკონურის კოსმოდრომთან ტელეფონით საუბრის დროს გულითადი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მეგობრობის კიდევ ერთი ხიდი გადო ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

სათაურით „ვარსკვლავებისაკენ" „პატრიოტი" მთელ გვერდს უთმობს რეპორტაჟს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის კოსმოსის მკვლევართა მომზადების შესახებ, წერს ამ დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის თაობაზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი განვითარებად ქვეყნებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ კოსმოსური სივრცის ათვისებაში, დიდი წვლილი შეაქვს ამ სახელმწიფოთა განვითარების საქმეში.

გაზეთი „სტეიტსმენი" კოსმოსში ინდოეთის მოქალაქის გაფრენას უწოდებს „ისტორიულ მოვლენას, რომელიც ინდოეთს საშუალებას აძლევს გააფართოოს ცოდნის საზღვრები". მილიონობით ინდოელი, ხაზს უსვამს მეორე გაზეთი „ინდიან ექსპრესი", უდიდესი მღელვარებით უყურებდა პირდაპირ ტელერეპორტაჟს ბაიკონურიდან.

პარლამენტის აქ მიმდინარე სესიაზე დეპუტატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას ფრენის წარმატებით დაწყების შესახებ. ყველანი უდიდესი სიხარულის გრძნობას განვიცდით იმასთან დაკავშირებით, რომ ისტორიაში პირველად ინდოეთის მოქალაქე მონაწილეობს კოსმოსურ ფრენაში, უთხრა საქდესის კორესპონდენტს პარლამენტის წევრმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ბ. შანკარანანდმა. ეს ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენაა. სწორედ ამაზე ოცნებობდა დამოუკიდებელი ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ, როდესაც ინდოეთის მიწა-წყალზე მასპინძლობდა კოსმოსის პირველმკვლევს ი. ა. გაგარინს. ჩვენი ხალხისათვის ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, თქვა მინისტრმა, მსურს უღრმესი მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირს, ჩვენს ნაცად მეგობარს, რომელმაც ინდოეთს ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა კოსმოსური სივრცის კვლევაში. მე როგორც ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, განსაკუთრებით მახარებს, რომ ფრენის პროგრამაში შეტანილია ექსპერიმენტები, რომელთა მომზადებაში მედიცინის დარგის ინდოელი სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ.

პარლამენტის დეპუტატმა რაჰიმ სულეიმან საითმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კოსმოსური ექსპედიცია თვალსაჩინო მიღწევაა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. იგი მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, რომელიც ცდილობს გამალებული შეიარაღება გადაიტანოს კოსმოსში, სსრ კავშირი და ინდოეთი მის კვლევას აწარმოებენ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით. მსოფლიოს ხალხებმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი პრობლემები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ინტერესებისათვის — ისე, როგორც ამას შვრებიან საბჭოთა კავშირი და ინდოეთი, თქვა პარლამენტარმა.

ინდოეთის კოსმოსური კვლევის ორგანიზაციის დირექტორმა რ. უ. რაომ ადგილობრივი ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ფრენას უწოდა ნათელი ფურცელი ორი ქვეყნის თანამშრომლობის ისტორიაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტის სესია

ნიუ-იორკი, აქ მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების მსოფლიო კონფერენციის საკითხთა სპეციალური კომიტეტის სესიაზე სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები გამოთქვამენ ერთსულოვან აზრს — განიარაღების მსოფლიო კონფერენციას, რომლის მოწყობის წინადადება საბჭოთა კავშირმა წამოაყენა და მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, შეუძლია შეიმუშაოს ეფექტიანი ზომები გამალებული შეიარაღების შეკავებისა და პრაქტიკული განიარაღების განხორციელებისათვის.

თანამედროვე რთულ და დაძაბულ ვითარებაში დიდ მნიშვნელობას იძენს სოციალისტური თანამეგობრობისა და მიუმხრობლობის მოძრაობის ქვეყნების წინადადებები, რომლებიც კომიტეტში წამოაყენეს და რომელთა მიზანია აცილონ კაცობრიობას ომის საფრთხე, შეაჩერონ ბირთვული არსენალების შეუფერხებელი დაგროვება, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ა. ჰორნმა.

სოციალისტური ქვეყნები მოითხოვენ, რომ პრობლემა გადაიჭრას უფართოეს საერთაშორისო საფუძველზე, თქვა პოლონეთის წარმომადგენელმა ი. რიჭკოვსკიმ. ეს თვალსაზრისი მკაფიოდ აისახა პოლიტიკურ დეკლარაციაში, რომელიც მიღებულია პრაღაში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე და შეიცავს მოწოდებას მტკიცედ და მოთმინებით მოაწყონ მორიგებები შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შემცირებისა და ლიკვიდაციის შესახებ.

კომიტეტის სხდომებზე აღინიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, სრულიად უსაფუძვლოდ ცდილობენ საერთაშორისო ვითარების გაუარესების მომიზეზებით გაამართლონ ის, რომ „მზად არ არიან" კონფერენციის მოწვევისათვის. აბა სხვას ვის, თუ არა სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიუძღვის ბრალი ახალი უპრეცედენტო მასშტაბის გამალებული შეიარაღების გაძლიერებაში, თქვა ბულგარეთის წარმომადგენელმა ე. ალექსანდროვმა.

ამერიკის ადმინისტრაცია ანგარიშს არ უწევს ხალხთა ნება-სურვილს და შეუდგა დასავლეთ ევროპაში ფრთოსანი რაკეტებისა და „პერშინგ-2" რაკეტების განლაგებას. სწორედ მან გადადგა გამალებული შეიარაღება კოსმოსში იმით, რომ შეუდგა თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის სისტემების შექმნასთან და გამოცდასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. ამიტომ ახლანდელი ვითარება მოითხოვს გავაორკეცოთ მეცადინეობა გამალებული შეიარაღების შეკავებისათვის და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ განიარაღების მიზნებს, კერძოდ, მოვიწვიოთ მსოფლიო კონფერენცია თანამედროვეობის ამ მწვავე საკითხებზე, ხაზი გაუსვა უნგრეთის დელეგატმა ი. მიკუშმა.

● სალვადორი

პატრიოტთა ახალი წარმატება

სან-ხოსე. სალვადორის პატრიოტებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს მაგანიას პროამერიკული რეჟიმის ჯარებთან ბრძოლაში. როგორც მეამბოხეთა რადიოსადგური „ვენსერემოსი" იუწყება, ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მებრძოლებმა ალყა შემოარტყეს 700 კაცისგან შემდგარ საჰაერო-სადესანტო ბატალიონს, რომელიც გადმოსხეს სან-მიგელის დეპარტამენტის ქალაქ ბარიოსის მიდამოებში პარტიზანული შენაერთების გასანადგურებლად. დამსჯელთა ცდა თავი დააღწიონ გარემოცვას, მარცხით მთავრდება. როგორც რადიოსადგური აღნიშნავს, პატრიოტები ამჭიდროვებენ ალყას, გაძლიერებულ ცეცხლს უშენენ ყველა სახეობის სასროლი იარაღიდან და ნაღმსატყორცნებიდან. მათ მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 55 ჯარისკაცი.

უნგრელი ხალხის დღესასწაული

ბუდაპეშტი. 4 აპრილს უნგრელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ფაშისტ დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლების 39 წლისთავი. მთელ რესპუბლიკაში გაიმართა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი კრებები და შეხვედრები. ახალგაზრდობის მრავალათასიანი მიტინგი მოეწყო გელერტის მთაზე აღმართულ განთავისუფლების მონუმენტთან.

რადიოთი და ტელევიზიით სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. მაროტიმ. ფაშიზმზე გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა, თქვა მან. მთელი უნგრელი ხალხი ღრმა პატივისცემის გრძნობით ფიქრობს საბჭოთა ხალხსა და მის მამაც მეომრებზე, რომლებმაც უდიდესი მსხვერპლის ფასად მოუტანეს თავისუფლება უნგრეთის მიწა-წყალს. ჩვენს ხალხს სურს მშვიდობიანი ცხოვრება, სავსებით და მთლიანად მხარს უჭერს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა კონსტრუქციულ ინიციატივებს, სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას დაარღვიოს ძალთა სამხედრო-სტრატეგიული ბალანსი, რომელიც ხელს უწყობს პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნებას.

უნგრელი ხალხის ერთიანობა მტკიცეა, თქვა ლ. მაროტიმ. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის — უნგრეთის საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის მეთაურობით ქვეყანამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. სოციალისტური წყობა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი განვითარების მტკიცე საფუძველია. მისი აყვავების გარანტიაა სსრ კავშირთან, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ურღვევი მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა.



ბუდაპეშტი. დედაქალაქის ხედი როჟადომბიდან (ვარდისგორიდან).

მტი-საქდესის ფოტო.

● საფრანგეთი

ფ. მიტერანის პრესკონფერენცია

პარიზი, საფრანგეთის პრეზიდენტი ფ. მიტერანი აქ გამოვიდა პრესკონფერენციაზე, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად მიეძღვნა [illegible] ეს პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს [illegible] ნახშირის მოპოვება და გემთმშენებლობა, და ამასთან დაკავშირებით მშრომელთა სამუშაოდან მასობრივ დათხოვნას, მთელ ქვეყანაში უფართოეს საპროტესტო მოძრაობას იწვევს. ეს პოლიტიკა დაგმო საფრანგეთის ყველა უდიდესმა პროფკავშირულმა გაერთიანებამ. მან თვით სოციალისტური პარტიის რიგებში მღელვარება და კომუნისტების მხრივ მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია.

სიმბოლურია, რომ პრეზიდენტის პრესკონფერენცია დაემთხვა საყოველთაო გაფიცვას ლოტარინგიაში — ოლქში, რომლის მოსახლეობასა და ეკონომიკას მიაყენებს უწინარეს ყოვლისა ზარალს მთავრობის ღონისძიებანი. ფ. მიტერანმა აღიარა, რომ მრეწველობის „გარდაქმნის" გეგმის განხორციელებას უახლოესი ორი-სამი წლის მანძილზე მოჰყვება სამუშაო ადგილების რიცხვის შემცირება 21-27 ათასით მარტო ლოტარინგიაში, სადაც უმუშევრობის პრობლემა ისედაც უაღრესად გამწვავებულია.

პრესკონფერენციის დროს პრეზიდენტმა არ უპასუხა მშრომელთა კითხვებს, რომლებიც უაღრესად შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ შეიძლება დაკარგონ სამუშაო, და მასობრივად ირაზმებიან საბრძოლველად, თქვა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ლაჟუანიმ. უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი გზაა წარმოების გაფართოება და დასაქმების გადიდება, განაცხადა მან. დაუშვებელია უკვე არსებული სამრეწველო პოტენციალის მოსპობა. საჭიროა განვახორციელოთ სამართლიანი პოლიტიკა გადასახადების დარგში, უკეთ გამოვიყენოთ სახელმწიფო სახსრები, ვიბრძოლოთ კაპიტალისტთა ბოროტმოქმედებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ იმ ვალდებულებათა შესაბამისად, რომლებიც დაფიქსირებულია მემარცხენე ძალების 1981 წლის ერთობლივ პროგრამაში და დადასტურებულია 1983 წელს. მშრომელებმა უნდა განამტკიცონ თავიანთი შეკავშირება ამ ვალდებულებათა შესასრულებლად.

საზეიმო სხდომა თბილისში

4 აპრილს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა უნგრელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — ფაშისტ დამპყრობლებისაგან ქვეყნის განთავისუფლების დღეს.

კრება გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ეჯიბაძემ. მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ე. საყვარელიძემ.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უნგრეთის კარდიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი, პროფესორი ს. კობალაძე, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ბრიგადირი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. გოგოლაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გ. ბეროზაშვილი.

კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე. (საქინფორმი).

ალით ხელში ლოცავს ახლად დაქორწინებულთ:

ბედნიერებას გილოცავთ მამულიშვილნო! ერის საგალობელს გიმღერით ჯვარი და სვეტიცხოველი, აკვნის სიმრავლეს გისურვებთ თვითონ აკვანი საქართველოსი — მცხეთა!

სიყვარულმა შექმნა ჯვარი და ალავერდი, გელათი და ნიკორწმინდა, სიყვარულით ქმნიდნენ ბექა და ბეშქენ ოპიზრები ხელოვნების უკვდავ ნიმუშებს. სიყვარულს უმღერის ვეფხისტყაოსანი, სიყვარულმა ააშენა ჩვენი დროის დიდებული ქმნილებები, სიყვარულით განახლდა ძველი თბილისის უბნები, სიყვარულით შენდებოდა სვეტიცხოველიც.

მცხეთიდან მაყრიონი თბილისში გამარჯვების პარკისაკენ მიემართება. აქ საქორწინო რიტუალში ჩართულია მემორიალის მთელი კომპლექსი. უცნობი ჯარისკაცის საფლავი, მადლიერი დედა მანდილაფრიალებული, ზეაღმართული ხელებითა და საფეხურზე მოჩხრიალე ნაკადულით. ამის შემდეგ სიძე-პატარძალი და მაყრიონი სახლისაკენ მიემართებიან. მაყრიონს წინ უძღვის მახარობელი...

რომ ვკითხოთ ნია ლეინერისა და გიორგი ნახუცრიშვილს, მარინე სანაკოევასა და გიორგი ჩაჩუას, დავით მაჭავარიანსა და ირინე გეხს, გეგი ნაპამეილსა და ფატი მუმლაძეს, ზვიად ხიზანიშვილსა და ნაირა წიბახაშვილს, თამარ ახალბედაშვილსა და თენგიზ კილენჯერიძეს და სხვებს, ყველას, ვინც თავისი ბედნიერება — ქორწინება ახალი, სრული რიტუალით აღნიშნა, არა მგონია არ გვიპასუხონ, დაუვიწყარი იყო ეს ყველაფერი, არა მგონია მთელი სიცოცხლე არ ატარონ ნათელ მოგონებად ამ რიტუალის სინათლე და სილამაზე.

მახსოვს, ამ წყვილთაგან ერთ-ერთმა, მცხეთის ბედნიერების დარბაზში, საოცრად ამაღლებული სიტყვებით რომ გადაიხადა მადლობა და სიძემ ისიც დაუმატა; მე ქვეყნისა და ჩემი საქართველოსათვის ჯერ რა გამიკეთებია, ასეთი განსაკუთრებული სიყვარულით, დიდებითა და პატივით რომ მიხდის ჩემი ბედნიერების დღესო...

საქორწინო რიტუალიც თავის აპოგეას ახალ სადღესასწაულო სასახლეში მიაღწევს. აქ ბევრი რამ არის გათვალისწინებული: პატარძლისა და სიძის მოსართავი ცალ-ცალკე ოთახები. სარიტუალო დიდ დარბაზში დაიდგმება მეორე მაგიდა, სადაც ხელს მოაწერენ სიძე-პატარძალი, ხელის მომკიდეები. ისე რომ, იქ დამსწრეთ სამეუღლეო ბეჭდებით შეედრონ ხელმოწერასა და მათ გაცისკროვნებულ სახეებს.

სიძე-პატარძალს თეთრ ჭათქათა მანდილებით შემკულ გვირგვინს დაადგამენ. მარადიული სიხარულის, ბედნიერების, სისავსისა და ნაყოფიერების ნიშნად (გვირგვინს ხალხი ოდითგანვე იყენებდა მხიარულების დროს, დღესასწაულში, ასპარეზობაზე და ა. შ.).

შემდეგ მცხეთაში, ბედნიერების დარბაზში ახლად დაქორწინებულთ გადასცემენ ბედნიერების გუჯარს, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსის იქნება:

ბედნიერების დღესა ამასა 198 . . . . . მცხეთას ეწვივნენ მარადიული კავშირით შეერთებულნი პატარძალი . . . . სიძე . . . .

მზე იყოს გვირგვინთა მათთა მანათობელი, სიყვარულის ფერთა სიმრავლე ამკობდეს სამარადჟამოდ!

ბუნებამ დალოცოს ტრფობა მათი უბერებელი. სილამაზის მუქი ამკობდეს ისევე, ვითარცა ხუროთმოძღვრული სიდიადე სვეტიცხოველს, ჩუქურთმა სამთავროს, სიმშვენიერე ზედაზენს.

დაე, ეს გუჯარი თან სდევდეს მათ ბედნიერებას!..

ქორწინების სასახლის სარიტუალო დარბაზში სიძე-პატარძალს გაატარებენ თეთრ, ქათქათა ფიანდაზზე, რომელზედაც ეწერება: გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად. რიტუალის შესრულების შემდეგ „ვეფხისტყაოსანთან" ერთად გაატანენ სამახსოვროდ.

ოქრო-ვერცხლის ქორწილი

დიდი აზრი და შინაარსია ჩადებული მეუღლეთა ერთად ყოფნის, ერთად ცხოვრების ოცდახუთი და ორმოცდაათი წლის იუბილეს აღსანიშნავ დღესასწაულში, რომელიც აგრეთვე რიყეზე, ცაგერის რაიონის ოდა-სახლში ტარდება. ერთგულება აწერია ამ სახლს და ერთგულებაა მთელი რიტუალის საფუძველი.

ვერცხლის იუბილარებს, დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის თანამშრომლებს, ვიქტორ და მარია რაკოვენკოებს, რიტუალის გამყოლი ეზოში შემოუძღვებათ, აქაც ისმის ზარების რეკვა, მხოლოდ განსხვავებული ხმით ძლერს, ვიდრე ახალგაზრდა წყვილთა დაქორწინებისას. ზარებს ცვლის მენდელსონის მარში და მრავალჟამიერი. ლამაზად მოწყობილ სარიტუალო დარბაზში კეთილშობილი დაფნის ტოტებით დაფენილ. მათთვის რიტუალის მაგიდისაკენ სავალი. საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ სავარძლებში სხდებიან იუბილარები, მეორე გამყოლი ვერცხლისფრად მოვარაყებულ გვირგვინს ადგამს მათ. (ოქროს მექორწინეებს — ოქროსფერს), ამ კეთილშობილური ლითონივით სუფთა, უძრავი ცხოვრების, ოცდახუთი წლის მანძილის კეთილსინდისიერად გავლის, ახალგაზრდობის პირველი ძლიერი გულისფეთქვის ლამაზად გახსენების ნიშნად.

რიტუალის გამძღოლი ჯანა ანთიძე საზეიმოდ აცხადებს იუბილართა ერთად განვლილი ცხოვრების ღირსსახსოვარ მომენტებს და ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

— თქვენს ერთად ცხოვრებას არასოდეს მოკლებია სიყვარულის სითბო და სიამე. ლხინიც გინახავთ, ჭირიც გამოგივლიათ, ცხოვრების წინააღმდეგობებიც ბევრი გადაგილახავთ, მაგრამ დაგიძლევიათ თანადგომითა და მხარდაჭერით, ქვეყნის სასახელო შვილები დაგიზრდიათ, კეთილსინდისიერი შრომით სიყვარული და პატივი დაგიმსახურებიათ.

გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, ოჯახის ნაშრომ-ნამატთან ერთად ხანგრძლივ სიცოცხლეს, სიხარულსა და ბედნიერებას.

იუბილარებს ულოცავს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნატალია ბურმისტროვა.

ამ დარბაზში ვერცხლისა და ოქროს იუბილარებისათვის მოულოციათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ანგელინა მელქაძეს, ლია ბალანჩივაძეს, რუსუდან ვერულავას, ოლღა დოლიძე-ბეჟანიშვილს(?) და სხვებს.

შემდეგ იუბილარების პატივსაცემად ჟღერიან, ცეკვავენ ანსამბლები, ცალკეული შემსრულებლები. ულოცავენ ახლობლები...

კარებისაკენ მიმავალ მეუღლეებს აგებებთ ერთ-ერთი გამყოლი და აწვდის წითელი ღვინით სავსე ფიალას. ისინი ლოცავენ ერთმანეთს.

სარიტუალო სახლის პირველ სართულზე აგიზგიზებულ ბუხართან, ტაბაკებით გაწყობილ დარბაზში იხდიან ერთად ცხოვრების, ერთად ყოფნის სახსოვარ ნადიმს.

ამ ბოლო დროს იმატა „ერთგულებაში" საწარმო-დაწესებულებების სახელით განცხადებებმა. აქ თავიანთი იუბილე უკვე იზეიმეს ოცდაათი ფაბრიკა-ქარხნის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივების წევრებმა. ასეთ კარგ საქმეს სათავეში უდგანან პარტბიუროს მდივნები და პროფკავშირის თავმჯდომარეები. კოლექტივის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ, სახუქრებსაც მიართმევენ კოლექტივის სახელით. იმართება მხიარული დროსტარება, იქმნება ამაღლებული განწყობილება.

ახალი სასახლე ამ რიტუალის სრულყოფასაც გვპირდება. ვერცხლისა და ოქროს იუბილარებს გადასცემენ მედალიონებს წარწერით 25 და 50, მწვანე გორლიანდების ქვეშ გაატარებენ წყვილებს უბერებელი ცხოვრების ნიშნად და სხვ.

* * *

შარშან პირველად აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში საერთო სახალხო ხსოვნის დღე.

ეს იყო 23 და 24 აპრილი. დიდი და პატარა ემზადებოდა ამ დღისათვის. საყვარელ საფლავებს მოგონება ათბობს, საქართველოში უპატრონო საფლავი არ არის, ცრემლნარევი სიამით სავსე ადამიანები სიყვარულით სწმენდნენ, ასუფთავებენ სხვისა და თავის საფლავებს, სახელგანთქმულ ადამიანთა ძეგლებს. იწერებოდა ადამიანთა გულის სითბოთი გამთბარი, გრძნობამორეული სტატიები, ჩანახატები, ნარკვევები, რეპორტაჟები. რადიო და ტელეგადაცემები მოუთხრობდნენ ნათელკვალდატოვებული შესანიშნავი ადამიანების შრომისა და ცხოვრების შესახებ.

„არ დაიდარდო დედაო"... ჟღერდა საქართველოს მთებს და ველებს ამ დღისათვის მზადების პერიოდში ყველასათვის საყვარელი სიმღერის სულის აღმძვრელი სიტყვები...

ახლოვდება წლევანდელი ხსოვნის დღეც. ამიერიდან იგი აპრილის მესამე კვირის შაბათსა და კვირას ჩატარდება. ხალხის მიერ ატაცებული, თავისად მიჩნეული დღისათვის მზადება დიდი ხანია დაიწყო.

ჩვენგან წასული დიდი საზოგადო მოღვაწეების, უბრალო და კეთილსინდისიერი ადამიანების უძლებლივ ყველა საფლავი ელოდება ამ დღეს ჩვენი გულის სითბოს, იმათი საფლავები, ვისაც უმღერა პოეტმა:

შენ ოციოდე გაზაფხული
განახავს მხოლოდ,
დანარჩენი კი სამშობლოსთვის
შეგიწირია...

და იმათი, ვინც წლებით მხრებდამძიმებულმა და მაინც უდროოდ წასულმა შეურცხვენლად ატარა ამ ქვეყნად ადამიანის მაღალი და ამაყი სახელი.

ეს არის პატიოსანი ცხოვრებისა და შრომის ფასად მოპოვებული ხსოვნა.

* * *

საოცრად მოკლე დროში დამკვიდრდა ხალხის გულში ეს ახალი ყოფითი, ე. წ. სამოქალაქო რიტუალები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ის არის, რომ, რაც მოსაწონია, რაც სულს ლხენასა და სიამეს აგრძნობინებს, გაახალისებს და წუხილსაც თანადგომით, თანაგანცდით დაუფამებს, ხალხი აჰყვება, ხალხი გაჰყვება, თავისეულად იზეიმებს, თავისეულად დაიგულებს.

„საზოგადოების საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ხსოვნის დღის მოწყობამ, ქორწინების, სახელის დარქმევის, „ოქროს" და „ვერცხლის" ქორწინების ახალი რიტუალების ორგანიზაციამ" — აღნიშნა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე. შემდეგაც მრავალჯერ უხსენებია პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სხვა რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებები.

დამეთანხმებით, არ არსებობს უკეთესი საჩუქარი, უკეთესი ჯილდო ამ რიტუალების შემქმნელ-დამნერგავებისათვის, ყოველი ჩვენთაგანისათვის, ვიდრე ასეთი მაღალი შეფასება.

თვალსაჩინოდ უფრთხილდებიან ამ შეფასებას პარტიული კომიტეტები, ყველა უწყება და სამინისტრო, მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები, კომპოზიტორები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ დიდი საქმის პირველი წარმატებების მიღწევაში.

თვალსაჩინოდ უფრთხილდებიან ამ შეფასებას თბილისის სადღესასწაულო ცენტრის (დირექტორი — ელზა სიმონიშვილი) და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის (დირექტორი — მალხაზ გელეიშვილი) თანამშრომლები, რომლებმაც მთელი თავიანთი შესაძლებლობა, ძალა და ენერგია მოახმარეს ამ რიტუალების მომზადებასა და ჩატარებას.

წინ კიდევ დიდი და სერიოზული სავალია ამ გზაზე.

ჩვენი რესპუბლიკის ადამიანებმა, ყველამ და თითოეულმა ცალ-ცალკე თავიანთი გულის ერთი ნაპერწკალი კვლავაც უნდა გაიღონ ემოციურად ამაღლებული, ლამაზი და დასამახსოვრებელი დღესასწაულების დამკვიდრებისათვის.

მერე ჩვენს მიერ გაღებული ნაპერწკლები გადაიქცევა სითბოს უშრეტ წყაროდ, რომელიც ადამიანების გულებში მარად ენთება სალხენად, დასამებლად.

თინა ზარგინავა,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

ტელეკრანთან

მიწის ერთი პატრონი

საქართველოს ტელევიზიის ახალი დოკუმენტური ფილმი

[illegible]

ახალი შეხვედრა რუსთაველის პოემასთან

აი უკვე მეორე საუკუნეა რუსთაველსა და მის პოემას „ვეფხისტყაოსანს" სწავლობენ მთელ მსოფლიოში. პოემა თარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენასა და მსოფლიოს მრავალ ენაზე. ამ უკვდავი ქმნილების გმირები ხაცხოვნი და აბალობელი გახდნენ მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

ზოგიერთ ენაზე ამ პოემის რამდენიმე თარგმანი არსებობს. „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთი სტროფი ჯერ კიდევ 1802 წელს აჟღერდა რუსულ ენაზე. ამის შემდეგ რუსული თარგმანების სია რამდენიმე ნაშრომით შეივსო. ამჟამად არსებობს პოემის ხუთი სრული თარგმანი, რომელთა ავტორები არიან კონსტანტინე ბალმონტი, გიორგი ცაგარელი, პანტელეიმონ პეტრენკო, შალვა ნუცუბიძე და ნიკოლოზ ზაბოლოცკი.

ამ დღეებში მკითხველებმა მიიღეს „ვეფხისტყაოსნის" პეტრენკოსეული თარგმანის ახალი გამოცემა. წარმოშობით უკრაინელი პანტელეიმონ პეტრენკო ახალგაზრდობისას საქართველოში ცხოვრობდა და გატაცებული იყო ქართული პოეტური კულტურით. 1936 წელს იგი ტრაგიკულად დაიღუპა და ვერ მოასწრო ბევრი ჩანაფიქრის განხორციელება. მაგრამ ამ დროისათვის პოეტს დასრულებული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის" რუსული თარგმანი. თარგმანზე მუშაობაში მას დიდი დახმარება გაუწია ცნობილმა პოეტმა და რუსთველოლოგმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ. სწორედ მისი მეცადინეობით გამოიცა პოემა რუსთაველის პირველი იუბილეს დღეებში 1937 წელს. მას შემდეგ ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა. მით უფრო სასიხარულოა გამომცემლობა „მერანის" ინიციატივა, რომელმაც მკითხველებს შესთავაზა ამ თარგმანის ახალი გამოცემა.

ვრცელი შესავალი სტატია და ლექსიკონი ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს სარგის ცაიშვილს.

გამოცემის ბოლოში დაბეჭდილია XVI-XVIII საუკუნეებში შესრულებული რამდენიმე მინიატურა და მიხაი ზიჩის, ლადო გუდიაშვილის, სერგო ქობულაძის, თამარ აბაკელიას, ირაკლი თოიძის, ლევან ცუცქირიძის, უჩა ჯაფარიძისა და ნათელა იანქოშვილის ილუსტრაციები პოემისათვის. (საქინფორმი).

გზა, ტრანსპორტი

ფრთხილად — ქვაცვენაა!

სატვირთო ავტომობილმა, რომელიც ცაგერის რაიონულ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ეკუთვნის, მკვეთრად მარჯვნივ გაუხვია და ორასი მეტრის სიღრმის ხრამში გადაიჩეხა. მძღოლი და ორი მგზავრი დაიღუპა, ავტომობილი დაიმსხვრა. ეს ფაქტი განიხილეს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებთან და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებასთან ბრძოლის რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე. გამოირკვა, რომ ტრაგიკული შემთხვევის დამნაშავენი არიან მძღოლი და გზა. მძღოლის დანაშაული მისთვის დადგენილი მარშრუტის თვითნებური დარღვევაა, გზის დანაშაული... საერთოდ შეიძლება გზა დამნაშავე იყოს?

სამუშაო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოში მეტისმეტად დაბალ დონეზეა შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ცუდად უწევენ კონტროლს მძღოლების მუშაობას. ჯგუფმა ცნობად მიიღო, რომ საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომმა ბიურომ შემთხვევის მიზეზების განხილვისას პასუხისგებაში მისცა გარაჟის გამგე ა. მუშკუდიანი და ექსპლოატაციის უფროსი ს. კვირიკაშვილი და საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის ისინი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამავე დროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა ურჩია განიხილოს ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორის შ. ლარცულიანის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი.

გამოირკვა, რომ მძღოლი იძულებული იყო მკვეთრად გაეხვია მარჯვნივ, რათა არიდებოდა ქვაცვენას და გვერდი აევლო ამის შედეგად გაჩენილი ღრანტესათვის...

სამუშაო ჯგუფმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტრო საკმაო ყურადღებას არ აქცევს გზებზე ქვაცვენის აღკვეთას, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში. ახლა კი გაზაფხულია — ნადნობი თოვლი რეცხავს კლდოვან ფერდობებს, ვეებერთელა ლოდები მდგრადობას კარგავენ და უკიდურესად საშიში ხდებიან.

მალე დადგება საგაზაფხულო-საზაფხულო საკურორტო სეზონი, მაღალი მთის საავტომობილო გზებზე მოძრაობა გაცილებით ინტენსიური გახდება. საავტომობილო გზებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს წინადადება მიეცათ სასწრაფოდ შეისწავლონ გზები, სადაც ქვაცვენაა მოსალოდნელი, დადგან საჭირო საგზაო ნიშნები, ჩამოწმინდონ ან გაამაგრონ ფერდობზე საშიშად გადმოკიდებული ლოდები. ამასთან ერთად ჯგუფმა ავტომეურნეობათა ხელმძღვანელების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა მძღოლებს აუხსნან ის საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია ქვაცვენასთან, მკაცრად დაიცვან მოძრაობის დადგენილი სიჩქარე. ეს გაფრთხილება ეხება კერძო სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებსაც...

...მოძრაობის მონაწილე სულ სამია — ადამიანი, ტექნიკა, გზა. ადამიანს შეუძლია და უნდა აგოს კიდეც პასუხი თავისი საქციელისათვის. იგი აგებს პასუხს ტექნიკისა და გზის მდგომარეობისთვისაც. როცა ამას იგრძნობენ — მაშინ უბედურების თავიდან აცილება ძნელია.

(საქინფორმი).

ჭადრაკი

თამაშობენ პრემიერები

[illegible]

ხოფში გუშინ ი. ლევიტინა-ლ. სემიონოვას მატჩის გადადებული მეთერთმეტე პარტია დამთავრდა ყაიმით. ანგარიშია 6:5 ლევიტინას სასარგებლოდ.

ნორჩი ჩემპიონები

სამტრედიაში დამთავრდა საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის.

მეტად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ჭაბუკთა ტურნირში, რომელშიც 13 ოსტატობის კანდიდატი და 3 პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა. პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება წილად ხვდა 14 წლის ქუთაისელ ოსტატობის კანდიდატს ნუკრი მანაგაძეს (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. ქანთარია), რომელმაც ინიციატივიანი, ენერგიული თამაში გვიჩვენა და 11 ქულა მოაგროვა. მანაგაძე პირველად გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი. 10,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს ოსტატობის კანდიდატებმა რ. ბაღათურიამ (სოხუმი) და გ. გოგიჩაიშვილმა (თბილისი), დამატებითი მონაცემებით, მეორე პრიზი სოხუმელს ხვდა წილად.

გოგონათა შორის ჩინებული შედეგით, 12 შესაძლებლიდან 10,5 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა 12 წლის ოსტატობის კანდიდატი ქეთინო კახიანი (გარდაბნის რაიონის სოფელი დიდი ლილო). საყურადღებოა, რომ ქეთინომ, რომელსაც ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭარაშვილი ავარჯიშებს, ზედიზედ მეორედ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონობა. 7,5-7,5 ქულა დააგროვეს ქეთინო აბაშიძემ, ნინო გელაშვილმა (ორივე — თბილისი), ნ. წკებლაძემ და მ. ცხვედიანმა (ორივე — ქუთაისი). დამატებითი მონაცემებით, მეორე ადგილი აბაშიძეს მიეკუთვნა, მესამე — გელაშვილს.

სატურნირო ორბიტა

შაში. ჰოლანდიაში გრძელდება ამ ქვეყნის წარმომადგენლის პ. ვირსმასა და ვ. ვირნის (სსრ კავშირი) მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისათვის. მათი მეცამეტე პარტია ყაიმით დამთავრდა და ახლა ანგარიშია 7:6 ვირსმას სასარგებლოდ.

ჭადრაკი. მოსკოვში გრძელდება ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება. ცხრა ტურის შემდეგ ნ. იოსელიანსა და ლ. ზაიცევას 7-7 ქულა ჰქონდათ დაგროვილი, ა. ახმარუმოვას — 6,5, ე. ფათალიბეკოვას — 6, დ. ნუცუს (რუმინეთი) — 5,5, ნ. კონოპლიოვას — 5 ქულა და ა. შ.

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიო თასზე ასპარეზობაში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა კოლორადო-სპრინგსში (ისევე, როგორც პირველი შეხვედრისას ვაინში) მეორედ დაამარცხა მასპინძელთა კოლექტივი — 8:2. ამ გუნდების ბოლო შეხვედრა ხვალ გაიმართება.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა ლვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1943 წლიდან სკკპ წევრი
ვლადიმერ ვასილის ძე კვალიაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 9 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „წუნარი პატარძალი". 11.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამწიფე". 11.45 — მხატვრული ფილმი „ათვლის წერტილი". 13.20 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 13.50 — ახალი ამბები. 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — პროგრამა მოსწავლეთათვის — საზოგადოებათმცოდნეობა (სტუდიაშია გ. სამხარაული). 16.40 — რუსული ენა (გადაცემას უძღვება ი. მათიაშვილი). 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმი „ტიპა და მიკა". 17.35 — „ამბავი უფლისწულისა" — სატელევიზიო სპექტაკლი (საქართველოს ტელევიზიის ფონდიდან). 18.10 — ახალგაზრდობისათვის — „მოგითხრობთ პროფესიაზე". 18.30 — კინოჟურნალი. 18.40 — „ქებათაქება ქართულ ანბანს". I ნაწილი (ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია). 19.15 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მშვიდობისა და ომის ეპიზოდები". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — ვერიკო ანჯაფარიძის სახცენო მოღვაწეობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.40 — ვერიკო ანჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო (გაგრძელება). 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — განცხადებები. 17.10 — მხატვრული ფილმი „ლუბაშა". 18.25 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია.

სამშაბათი, 10 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — მხატვრული ფილმი „ერთგული მეგობრები". 11.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგონებები დიდ დარბაზზე". 12.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ელმავალი". 13.25 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ლ. კვაჭაძე). 13.55 — ახალი ამბები. 14.10 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაშია გ. ჭირაქაძე). 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — შევისწავლით ინგლისურ ენას (სტუდიაშია ა. ბაიაშვილი). 16.40 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორ შეიძლება ცირკი არ გიყვარდეს". 17.25 — განცხადებები. 17.30 — კონცერტი „რას გვიამბობენ ძველი საათის ზანზალაკები". 18.00 — „კვალი ნათელი" — ვასილ ამაშუკელი (საქართველოს ტელევიზიის ფონდიდან). 18.20 — „სტუდენტური დღეები-84". „ყამირელები". ლიტერატურული გადაცემა. 19.00 — „კომუნისტები" — იმარ ბაზიარი. 19.25 — „ცეროდენას ეკრანი". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — ახალგაზრდობისათვის — „ცხოვრება კაცისა" — აკაკი წერეთელი. 21.55 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესიო". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.40 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი" — „ქუჩაში დადის იმედი". 23.00 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე". 23.15 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყარო გზის პირას". 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — განცხადებები. 16.40 — მხატვრული ფილმი „სასწრაფო გამოძახება". 18.10 — მოსწავლეთათვის — ბიოლოგია.

ოთხშაბათი, 11 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — „მეგობრობის ეკრანი" — უნგრული მხატვრული ფილმი „მეხუთე ბეჭედი". 11.40 — „კვალი ნათელი" — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სერგო ზაქარიაძე". 12.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ჩვენი სახლი", „მიწა და ქვები". 13.35 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაშია ა. სულაქველიძე). 14.05 — ახალი ამბები. 14.20 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია. 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — შევისწავლით გერმანულ ენას (სტუდიაშია ნ. ცინცაძე). 16.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.50 — „საესტრადო პანორამა". 17.35 — „გიწვევთ „იავნანას" საოჯახო კლუბი". 18.05 — „მუქა სულისა" — მუქალა ხორნაული. 18.30 — „სტუდენტური დღეები-84". გნესინების სახელობის სახელმწიფო მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა და მოსწავლეთა კონცერტი (მ.). 19.00 — განცხადებები. 19.05 — „გახსენება" — შ. იაშაიძე. 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — „კვალი ნათელი" — ქართული დოკუმენტური ფილმი „შალვა ელიავა". 20.45 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს" („ამირანის ზღაპრები"). პრემიერა. I სერია. 21.55 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს" („ამირანის ზღაპრები"). პრემიერა. II სერია. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.40 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 17.25 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ძველი განძის სახლი", „ოკეანესთან პირისპირ". 18.10 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია.

ხუთშაბათი, 12 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს". („ამირანის ზღაპრები"). I და II სერია. 12.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იური გაგარინი". 13.30 — ბიოლოგიის ტელეკურსი (სტუდიაშია ნ. სიხარულიძე). 14.00 და 15.50 — ახალი ამბები. 16.00 — შევისწავლით ფრანგულ ენას (სტუდიაშია მ. დოხტურიშვილი). 16.30 — ქ. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (გადაცემა ცენტრალური ტელევიზიისათვის). 17.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პირველი ორბიტული". 17.55 — განცხადებები. 18.00 — „კვალი ნათელი" — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერისა მანჯგალაძე". 18.20 — „ხალხური შემოქმედება" — კონცერტი. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.). 19.30 — „მხიარულ ტალღაზე" (მ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ბედნიერი შეხვედრა". 21.55 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — სტუდენტური დღეები-84. „პორტრეტები საშეენიერო სესიიდან". 23.15 — ნ. ბუდიაშვილი [illegible] კვარტეტი ([illegible] საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმებიანი კვარტეტი და პიანისტი ე. ბულისაშვილი). 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა. 17.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანი საფრენ ზოლზე". 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

პარასკევი, 13 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — ქართული მხატვრული ფილმი „ბედნიერი შეხვედრა". 11.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ჩვენი მდოგანი", „ერთადერთი საზრუნავი". 12.25 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველა წმინდა". 13.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუშური [illegible]". 13.35 — ფიზიკის ტელეკურსი (სტუდიაშია ვ. კობახიძე). 14.05 — ახალი ამბები. 14.20 — „კალენდრის ფურცლებზე". 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (სტუდიაშია რ. ენუქაშვილი). 16.40 — პროგრამა მოსწავლეთათვის — მულტიპლიკაციური ფილმები: „რატომ სძინავთ", „ტყის ზღაპრები". 17.15 — „ჯადოსნური სალებავი". 17.55 — განცხადებები. 18.00 — კამერული მუსიკის კონცერტი — დარგომიჟსკის რომანსები. 18.30 — „საუნჯე". საუბრები არქეოლოგიაზე. 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" — ოდესის „ჩერნომორეცი". რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 20.45 — „მოამბე". 21.20 — „ხალხური სიმღერის უკვდავება" — „ხევსურს რა უნდა მეტი". 21.50 — „საქართველოს სახარსნო — ცისფერ გზებზე". 21.55 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი". 22.45 — „ინტერვიუ მატჩის შემდეგ". 23.05 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სევერიან ისიანი. 23.45 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 17.05 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „თეთრი ქვები", „გოგონა და ჯარისკაცი", „ჩამავალი მზე". 18.10 — მასწავლებლის საათი — ქიმია.

შაბათი, 14 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — სტუდენტური დღეები-84". ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საქართველოსათვის ბიჭებო, სწორდით!". 10.35 — შევისწავლით ქართულ ენას (სტუდიაშია — ე. ბაბუნაშვილი). 11.05 — „კვალი ნათელი". ქართული დოკუმენტური ფილმი „ნიკო კეცხოველი". 11.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული კერამიკა". 11.55 — „პოეზიის ხუთი წუთი". 12.00 — შევისწავლით რუსულ ენას (სტუდიაშია მ. ჩხიკვაძე). 12.30 — „ხუთწლედი, წელი მეოთხე" — სატელევიზიო პროგრამა. 13.20 — „პოეზიის ხუთი წუთი". 13.25 — „პირველად ჩვენს ეკრანზე". ქართული მხატვრული ფილმი „კაშხალი მთაში". 14.35 — „კინოთეატრში". 15.05 — „ჩვენი კონსტიტუცია". 15.45 — „პოეზიის ხუთი წუთი". 15.50 — „კვალი ნათელი". ქართული დოკუმენტური ფილმი „[illegible]". 16.05 — ახალი ამბები. 16.15 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის [illegible] 17.35 — „პოეზიის ხუთი წუთი". [illegible] 19.25 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლადო" (სამამულო ომის ვეტერანი ვლადიმერ ბოლოხოვი). 19.45 — „ცეროდენას ეკრანი". 20.00 — „მოამბე". 20.35 — „პოეზიის ხუთი წუთი". 20.40 — „ევროპის სტადიონებზე". 21.15 — ლიტერატურული თეატრი — გ. მაჭავარიანის პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.40 — „პოეზიის ხუთი წუთი". 22.45 — მხატვრული პროგრამა, „ფილმი, მსახიობი, როლი".

კვირა, 15 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.00 — „ხსოვნის დღე" — „რეკვიემი". 10.25 — „საკვირაო გამოფენა". 10.30 — „მალფიძარა" (მ.). 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.45 — „საკვირაო გამოფენა". 11.50 — „კვალი ნათელი" — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნ. მუსხელიშვილი". 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია თ. კვაჭანტირაძე). 13.15 — ხალხური შემოქმედება „სახელი მარად დარჩება". 14.00 — „საკვირაო გამოფენა". 14.15 — კონცერტი. 14.40 — „ვესტნიკი". 15.10 — „საკვირაო გამოფენა". 15.15 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — „ამბავი ნამდვილი ადამიანისა". მხატვრული ფილმი „ბედი კაცისა". 16.55 — მოსწავლეთათვის — „მუსიკის მოყვარულთა კლუბი" (გადაცემას უძღვება რესპუბლიკის სახალხო არტისტი ჯ. კახიძე). 18.00 — „კვალი ნათელი" — ანატოლი კაჭარავა. 18.40 — „საკვირაო გამოფენა". 18.45 — „ზღაპრის გუდა". 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.). 19.45 — „დღეს საბჭოური მეცნიერების დღეა" (მ.). 20.15 — „მოამბე". 20.55 — „გახსენება" — ვასილ ჰაჰინაშვილი. 21.10 — „საკვირაო გამოფენა". 21.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იოსებ ნონეშვილი". პრემიერა (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 21.55 — „საკვირაო გამოფენა". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „მსოფლიო ახალგაზრდობა" (მ.). 23.10 — საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.). 23.40 — „ხვალ — ტელეეკრანზე".

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



ორშაბათი, 9 აპრილი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 — ვ. არხანგელსკი „მანდორ რადო დორა". ნაწყვეტი წიგნიდან. 11.15 — „კვალი ნათელი". „ალექსანდრე იაშვილი". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.10 — ქალაქური ჰანგები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ა. აბაშელის ლექსები. 12.45 — მღერის ა. ჩილინგარიანი. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა" — გ. აბაშიძე. „ცოტნე ანუ ქართველების დაცემა და ამაღლება". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „პატარა უფლისწული". მეორე ნაწილი. 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის". საუბარი „ასე იბრძოდნენ ჩვენი ქალები". 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.30 — „აგროსამრეწველო კომპლექსი: შედეგები, პერსპექტივები". 19.40 — „ადამიანი და კანონი". რადიოჟურნალი (მ.). 20.30 — ჯ. ვერდი. ოპერა „ტრავიატა". 23.30 — ეკრანის მელოდიები.

სამშაბათი, 10 აპრილი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.15 — „კვალი ნათელი". დიალოგი „ხსოვნის დღე, რომელიც ციებლებსაც გვჭირდება". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ი. ნონეშვილის ლექსები. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა". — გ. აბაშიძე. „ცოტნე ანუ ქართველების დაცემა და ამაღლება". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „მველა მერიდიანზე — ფაქტი, მოვლენა, კომენტარი". 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!" 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „სამეურნეო მექანიზმი — პრობლემები, პერსპექტივები" — „ბათუმური ექსპერიმენტი". რეპორტაჟი. 19.15 — დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის. — საუბარი „თბილისი და თბილისელები დიდ სამამულო ომში". 19.30 — „აგროსამრეწველო კომპლექსი: შედეგები, პერსპექტივები". 19.40 — „ჩვენი ლაშქარი". რადიონარკვევი „ნდობა". 20.30 — მოსკოვის ფილარმონიის კამერული ორკესტრის კონცერტი. 21.00 — ძილისპირული. 21.15 — რადიოსადგური „სიჭაბუკე". 22.00 — ჯ. პუჩინი. ოპერა „ჩიო-ჩიო-სანის" ნაწყვეტები. 23.30 — ქართული ხალხური სიმღერები.

ოთხშაბათი, 11 აპრილი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.15 — „პარტიული ცხოვრება". საუბარი „მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით". 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა". — გ. აბაშიძე. „ცოტნე ანუ ქართველების დაცემა და ამაღლება". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მღერის ანსამბლი „რუსთავი". 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა". 18.00 — თბილისის ახალი ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „კვალი ნათელი" — „სიმონ ჯანაშია". 19.30 — „აგროსამრეწველო კომპლექსი: შედეგები, პერსპექტივები". 19.40 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.). 20.45 — „საბჭოთა სიმღერა" კონცერტი. 21.00 — ძილისპირული. 21.10 — რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად. 21.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 22.00 — ვალსები. 22.10 — „კვალი ნათელი". „გახსენება" — ბაბილინა ხოსიტაშვილი. 23.40 — ს. პროკოფიევი. საბალეტო მუსიკა.

ხუთშაბათი, 12 აპრილი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.10 — „ექსპერიმენტი კოლმეურნეობაში". რადიოფილმი. 11.50 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.20 — „ახალგაზრდული სტუდია" — „დღეს კომბინატების დღეა". 12.35 — დები ოშხნელების კონცერტი. 12.50 — „სცენის ოსტატები". სცენა სპექტაკლიდან „ბარათაანთ კერა". ვ. გოძიაშვილის, ნ. მიქელაძის, ა. ომიაძის, თ. თეთრაძის მონაწილეობით. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა" — გ. აბაშიძე. „ცოტნე ანუ ქართველების დაცემა და ამაღლება". 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — „დაუვიწყარი ხმები". კონცერტი. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ადამიანი ადამიანის შემოქმედი". 18.00 — სამხრეთ ოსეთის ახალი ამბები. 18.30 — „კვალი ნათელი". „კორნელი კეკელიძე". 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი". 19.30 — „აგროსამრეწველო კომპლექსი: შედეგები, პერსპექტივები". 20.40 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. პირველი ლიგა. 21.15 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის". პუბლიცისტური რადიომოთხრობა „სიმღერა მიჰყვებოდა ბრძოლაში". 23.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები.

პარასკევი, 13 აპრილი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 11.15 — „ჩვენი კონსტიტუცია". პუბლიცისტური საუბარი. 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა. 12.10 — ქართული ხალხური ჰანგები. 12.30 — მუსიკალური პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან". 14.00 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ო. გორდელი. ვოკალურ-სიმფონიური პოემა „რაზე ბუტბუტებს მტკვარი". 17.40 — მოსწავლეთათვის. „ადამიანი ადამიანის შემოქმედი". 18.00 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 19.00 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — ს. კლდიაშვილი. „ჭინკა ბიჭები". 19.15 — ეკრანის მელოდიები. 19.30 — „აგროსამრეწველო კომპლექსი. შედეგები, პერსპექტივები". 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — „ჩერნომორეცი". მეორე ტაიმი. 21.00 — ძილისპირული. 21.15 — „კვალი ნათელი". „თეოფანე დავითაია". 22.00 — „კვალი ნათელი". სპექტაკლების სცენები გ. შავგულიძის მონაწილეობით. 23.30 — მღერის პ. ლისიციანი.

შაბათი, 14 აპრილი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.) 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 10.15 — „კონსტიტუცია" — ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი". საუბარი. 10.30 — „დიდება სამშობლოს". კონცერტი. 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია. 12.00 — „კვალი ნათელი". „გახსენება — „ფირუ მოსულიშვილი". 12.30 — „კვალი ნათელი". „მღერის ივანე გოლიაძის ოჯახი". მუსიკალური ნარკვევი. 14.00 — შ. დადიანი. „დაუმთავრებელი პოემა". რადიოდადგმა. 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.15 — მოსწავლეთათვის. „ქართული საუნჯე". 18.00 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „30 წელი საოპერო თეატრის სცენაზე". მუსიკალური რადიოკომპოზიცია. 20.30 — „ეს სიმღერები დავიწყებას არ მიეცემა". კონცერტი. 21.00 — ძილისპირული. 21.30 — „ახალგაზრდული სტუდია". „კვალი ნათელი". „ხსოვნა გულისა". 22.00 — „საღამო მშვიდობისა". მუსიკალური პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 23.30 — მოცარტი. მეთორმეტე სიმებიანი კვარტეტი.

კვირა, 15 აპრილი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.). 9.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". საკვირაო გამოშვება. 11.35 — „მუსიკალური რადიოაფიშა". 12.00 — „კვალი ნათელი". „დაუვიწყარი ხმები". 12.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 13.40 — „კვალი ნათელი". მუსიკალური ნარკვევი „მელიტონ ბალანჩივაძე". 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი. 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (თბილისიდან). 15.30 — „კომუნისტები". რადიონარკვევი „ბავშვთა სადღეგრძელოდ". 15.45 — ლ. იაშვილი. სიმღერები. 16.30 — „საბჭოთა სიმღერა", კონცერტი. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის, „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში" — ილია ჭავჭავაძე. 19.00 — კონცერტი. დ. თორაძის ნაწარმოებები. 20.30 — „კვალი ნათელი". „ნიკოლოზ ხვიტია". მუსიკალური ნარკვევი. 21.00 — „კვალი ნათელი". სპექტაკლების სცენები ვ. მანჯგალაძის მონაწილეობით. 22.00 — პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა". 23.30 — ხ. ცინცაძე. მეცხრე სიმებიანი კვარტეტი.

მოსკოვი

9 აპრილი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — კლუბ „ოქროს შაიბის" პრიზზე. 10.20 — მხატვრული ფილმი „ჩვეულებრივი ადამიანი". 11.55 — კონცერტი. 12.30 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.30 — „მღერის და ცეკვავს „ვერხოვინა"". 17.15 — ახალი ამბები. 17.20 — მოსკოვის კომკავშირის საქმენი. 18.05 — რუსული ენა. 18.35 — კინონარკვევი „მუშათა ქალაქი ტამპერე" (ფინეთი). 18.50 — სტუმრად ზღაპართან. მულტფილმი „ჩიპოლინო". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „ფეხბურთი. „დნეპრი" — „სპარტაკი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „მსოფლიოს კინოს ოსტატები". კინორეჟისორი სტენლი კრამერი (აშშ). 00.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა, 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15, 12.05 და 19.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 — ვ. პ. კატაევი. „პოლკის შვილი". IV კლასი. 10.05 — ინგლისური ენა. 11.05 — მწერლები ვ. ი. ლენინზე. 11.35 — ისტორია. VII კლასი. 13.05 — გეოგრაფია. VIII კლასი. 14.05 — საბჭოთა სახვითი ხელოვნება. ა. ა. პლასტოვი. 14.35 — ა. პ. ჩეხოვი. „ივანოვი". 15.20 — „წლები და ადამიანები". 15.50 — მ. ჯალილის პოეზია. 16.35 და 19.00 — ახალი ამბები. 19.30 — უკრავს ნ. პეტროვი (ფორტეპიანო). 20.00 — დედის სკოლა. 20.30 — თანამეგობრობა. ტელეჟურნალი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ადამიანი და კანონი. 21.45 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ფეხბურთი. ცსკა — მინსკის „დინამო". 00.05 — უკრავს ვ. შერბაკოვი. 00.20 — ახალი ამბები.

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — ჩვენ დიად სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი მიკროფონთან". 10.35 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა. 11.40 — „დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის" — მხატვრული ფილმი „ლუბაშა". 12.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ძველი განძის სახლი" და „ოკეანესთან პირისპირ". 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი (სტუდიაშია ვ. კობახიძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაშია გ. ჭირაქაძე). 14.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი და სოფელი". ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები თანამედროვე სოფელში. 15.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რა საჭიროა ველოსიპედის გამოგონება?". 16.00 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.10 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში (სტუდიაშია რ. ენუქაშვილი). 16.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კოჯორეთი ღრუბლებს ზემოთ" (ვულკანის ამოფრქვევა კამჩატკაზე). 17.10 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმი „ალიონუშკა და ჯარისკაცი". 17.30 — ბორჯომის სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი. 18.00 — ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით — სატელევიზიო-დოკუმენტური ფილმები „ჯანმრთელობის სახალხო კომისარი" და „სამოქალაქო ავიაცია". 18.50 — განცხადებები. 18.55 — ახალგაზრდობისათვის — „მისაღები გამოცდების წინ". 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — „მაგისტრალური მიმართულება" — „რესპუბლიკის აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა მუშაობის გამოცდილება". 21.10 — ქართული სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „მღერის ცისანა ტატიშვილი". პრემიერა (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 21.55 — „საქართველოს სანახსნო — ცისფერ გზებზე". 22.00 — „ვრემია". 22.35 — „მსოფლიოს კინოს ოსტატები" — კინორეჟისორი სტენლი კრამერი (მ.).

მეორე პროგრამა. 16.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლის პარკი". 16.35 — განცხადებები. 17.00 — მხატვრული ფილმი „ცისარტყელა". 18.25 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ფე 07161 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, გამოდის ორშაბათის გარდა ყოველდღე. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20